

ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგიის მასალები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერებისა თუ მისი რომელიმე დარგის არათუ წარმატების, თვით არსებობის ერთი პირობათაგანი არის სათანადო ტერმინოლოგია, როგორც იტყვიან, „მეცნიერების ენა“. სამეცნიერო აზროვნების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრული შინაარსის ცნებები. თანაც იმ რაოდენობის, რომელიც შესაბამის ცოდნას დაიტევდა და გამოთქვამდა. ამასთანავე, მეცნიერების განვითარება შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება-მონაპოვართა გაზიარებისა და გათვალისწინების გარეშე. ეს კი რომელიმე ერთ ენობრივ გარემოში გაჩენილი ტერმინების სხვა ენებში შემოსვლასა და დედანაზე მათი შესატყვისების მოძიებასაც მოითხოვს. აქედან გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სიტყვარის დაზუსტების, მეორე მხრივ კი, მისი მიწყივ განახლება-გადახედვის მოთხოვნილებაცა და გარდუვალობაც. „გონისმეცნიერებებს“ ამ მხრივ დამატებით კიდევ ერთი სირთულეც ახლავთ, რადგან მათ კვლევა-ძიების უმთავრეს „იარაღად“ სწორედ სიტყვა აქვთ, ხოლო მსჯელობის სიმწყობრე თუ თხრობის გამართულობა აუცილებელს ჰყოფენ ენის მრავალფეროვნებასა და სინონიმთა სიმრავლეს.

ტერმინოლოგიის დადგინების ამოცანა თავიდანვე იდგა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის წინაშეც. ჰერ კიდევ XIX საუკუნის სიძველეთმცოდნეებს მოუხდათ ცოცხალ მეტყველებასა ანდა რუს-ევროპელ მკვლევართა ნაწარმოებში იმგვარი სიტყვებისა და გამოთქმების დაძებნა, რომელნიც გამოდგებოდა ნაგებობათა თუ ნივთების აღსაწერად, ხოლო მი-

ზანდასახული შრომა ამ მიმართულებით 1900—1910-იანი წლებიდან დაიწყო. ამაში გვარწმუნებს, რომც აღარაფერი ვთქვათ ხელოვნების კრიტიკოსებსა და მხატვრებზე (მაგ., ა. ჯორჯაძე, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. თოიძე, დ. კაკაბაძე), ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები ძველქართული სახელოვნო ტერმინების შესახებ. 1910-იანი წლებიდან მოყოლებული იღვწოდა ხელოვნებათმცოდნეობითი ცნებების გადმოსაქართულებლად გ. ჩუბინაშვილიც. პირველ ხანებში მას შემწედ ზაქ. ჩხიკვაძე და ირ. სონღულაშვილი ჰყავდა, 1930-იან წლებში კი ის მკვლევარნი ამოუდგნენ მხარში, ვისაც წილად ხვდა დიდ მასწავლებელთან ერთად ქართული ხელოვნებათმეცნიერების დასაფუძვლება. ბ-ნ ვ. ბერიძის „მოგონებების“ წამკითხველთ უთუოდ ისიც ეხსომებათ, როგორ აღგენდა 1935 წელს ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა ჯგუფი (ვ. ბერიძე, ვ. კელია, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. რჩეულიშვილი, ლ. სუმბაძე) პროფ. ვუკ. ბერიძის ხელმძღვანელობით არქიტექტურის ლექსიკონს.

მთელი ამ გარჯის შედეგია, დღეს რომ ხელოვნების თაობაზე ქართულად საუბარი და წერა გვძალგვიძს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ მხრივ ახლა საკეთებელი აღარა იყოს რა. ჯერ ერთი, ახალი კვლევითი მიზნების დასახვა განსვავებული სიტყვარის საჭიროებას ბადებს. შემდგომ, 1940—50-იანი წლების აქეთ გამოქვეყნდა მრავალი ძველქართული ტექსტი თუ ლექსიკონი, რაც სხვადასხვა უცხოური სიტყვის აღრე უცნობი ქართული შესატყვისის დამკვიდრების საშუალებას იძლევა. ასევე, ამა თუ იმ გარემოების გამოისობით, გამოუყენებელი დარჩა და სულაც დავიწყებას მიეცა ზოგიერთი კარგად სახმარი ტერმინიც. ყველა ამ მიზეზით, ათიოდ წლის წინათ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ხელი მიჰყო ხელოვნებათმეცნიერთათვის სარგო სიტყვების დაძებნასა და შერჩევას. ამ მუშაობაში, რაც ხან უფრო გამაღებით წარმოებდა. ხანაც მინელდებოდა ხოლმე. მონაწილეობა აქვთ მიღებული მ. გაჩეჩილაძეს, ნ. გომელაურს, მ. დიდებულიძეს, ნ. ვაჩეიშვილს, დ. თუმანიშვილს, ა. კლდიაშვილს, გ. ლეჟავას, ქ. მიქელაძეს, ზ. სხირტლაძეს, მ. ყენიას,

მ. ჰელიძეს, მ. ხატიაშვილს, მ. ჯანჭალიას. მათ მიერ გადახინჯულ იქნა ქართული სიტყვარები ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონით“ დაწყებული თანამედროვე დარგობრივი ლექსიკონების ჩათვლით, ძველი ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი თანდართული სიტყვათა განმარტებებითურთ, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეგროვებული ხელოვნობისა და შინამრეწველობის ისტორიის უმდიდრესი „მასალები“, და თვით ბ-ნ ივანეს შეგროვებული ტერმინები, ზოგი რამ სხვა სტამბური — ასე მაგ. არაერთი მოხდენილი გამოთქმა მოიძებნა ე. თაყაიშვილის ნაწერებში — თუ ხელნაწერი წყაროც.

დიდძალი შეგროვებული ლექსიკური ერთეული სახვითი თუ ე. წ. „მცირე“ ანუ „გამოყენებითი“ ხელოვნების ყველა დარგს სწვდება — ხუროთმოძღვრებას, ფერწერას, ქანდაკებას, ოქრომჭედლობას, მეთუნეობას, ქსოვა-ქარგვასა და ა. შ. მათ შორის არის ნაგებობების სახეობათა თუ მათი ნაწილების, საშენი და საფერწერო მასალების, სხვადასხვა ჭურჭლეულობის, სამოსელთა, საეკლესიო და საერო ნივთთა, იარაღების და სხვ. სახელები; დამუშავებულ იქნა შუა საუკუნეების მხატვრობა-მქანდაკებლობის იკონოგრაფიული რეპერტუარი. შეგროვებულია ხელოვანთა და ხელოსანთა მოქმედების გამომხატველი ზმნები, ასევე ადამიანის სხეულის ნაკვთთა და სახელებანი თუ ბუნების მოვლენათა, ნაირგვარი საგნების. ქმედება-მდგომარეობისა და თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელნიც შეიძლება გამოგვადგეს შენობებსა, სურათებსა ანდა ქანდაკებებზე საუბრისას.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, მოპოვებული სიტყვიერი მასალის „სახელოვნებათმცოდნეო ლექსიკონად“ ჩამოქნას დავლოდებოდით, მაგრამ ეს ჩვენი მეცნიერების ზოგიერთი განშტოებისთვის აუცილებელი ტერმინოლოგიის დანერგვას მეტისმეტად დაახანებდა, თანაც არც ისაა გამორიცხული, რომ ამასობაში ფეხს მოკიდებოდა დაუხვეწავი, მიახლოებითი. სულაც მცდარი ცნებები. ამასთან, წინასწარი გამოქვეყნება მოგვცემს შემოთავაზებული სიტყვების მოსინჯვის, მათი ავ-კარგის განხილვის საშუალებას. ხომ შეიძლება, ვინმე მკითხველთაგანს გაუღვივდეს სურვილი საკუთარი რამ მი-

გნება შეაწიოს სატერმინოლოგიო მუშაობას ან, პირიქით, დაასაბუთოს მოწოდებული ტერმინების უვარგისობა. საერთო საქმისთვის საუკეთესოც ეს იქნებოდა — დროულად შეგვეტყო განსხვავებული ხელობის, თაობისა თუ გემოვნების რაც შეიძლება მეტი ადამიანის აზრი და მოსაზრება.

დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ა ლ ი

I

სახელოვნებათმეცნიერო ტერმინოლოგიის მასალათა გამოქვეყნებას ჩვენ ქრისტიანულ, ნამეტურ შუასაუკუნოვან, მხატვრობაში მიღებული და გავრცელებული გამოსახულებების სახელწოდებებით ვიწყებთ. ბევრს ეუცხოვება, ნებისმიერად მოეჩვენება ალბათ ასეთი არჩევანი და იგი, მართლაც, მხოლოდ შემდგენელ-გამომცემელთა შეხედულებებს ემყარება. საქმე ის გახლავთ, რომ სხვათა და სხვათა მიზნთა გამო, ქართულ იკონოგრაფიულ სახელდებათა დამუშავება შედარებით ჩამოგვირჩა. ამ დროს კი, ჯერ ერთი, დღესდღეობით, ძველი მოხატულობებისა თუ ხატების საღმრთისმეტყველო-შინაარსობრივი მხარის კვლევის გაცხოველების გამო მათი ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობია. მეორე, ჩვენმა ძველებმაც ისინი შედარებით ძუნწად დაგვიტოვეს. რასაკვირველია, ქართული საიკონოგრაფიო ტერმინები არსებობს და ზოგიერთი მათგანი, როგორც ვნახავთ, იშვიათად მორგებული და ტევადიც არის, მაგრამ რაოდენობრივად ისინი ვერ გაუტოლდება რუსულსა ან ბერძნულს. საფიქრებელია, რომ წინათ ისინი საქართველოშიც იქნებოდა და ჟამთა სიავეს გადაჰყვა — ჩვენში სომ არც ე. წ. „დედნები“ შემორჩენილა და არც ხატწერის უწყვეტმა ცოცხალმა ტრადიციამ მოატანა 1917 წლამდე ძველი რუსეთივით. ეს მრავალ შემთხვევაში გვაიძულებს სხვა ენებში დადასტურებული სახელწოდებებიდან ამოვიღეთ და ვეძებოთ ქართულ ენასა და საეკლესიო მწერლობაში მათი შესაბამისი ფორმები. უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს ხერხდებოდა კიდევაც. მაგრამ ხანგამოშვებით ჩვენ გვიწევდა საკმაოდ თავისუფლება გამოგვეჩინა და არა მარტო არსებულ ტექს-

ტებს დავხდობოდით, არაქედ საკუთარ ენობრივ ალლოსა და გრძნობასაც. ამიტომაც, თუკი ესა თუ ის გამოთქმა ხშირად გვხვდება და ყველასათვის არის ცნობილი, ჩვენ მას პირდაპირ მოვიტანთ, ხოლო თუ იგი ლამისაა ჩვენეულია, მაშინ მას სათანადო განმარტებაც დაერთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ქვემოთ მოტანილი თემა თუ ტიპი შეიძლება არც დადასტურდეს საკუთრივ ქართულ ხელოვნებაში, მაგრამ მკვლევართათვის აუცილებელი ხდება ხოლმე მათი მოყვანადამოწმება და, ამრიგად, ჩვენს მეცნიერებას მათი სახელწოდებანიც არგია.

ვიდრე უშუალოდ იკონოგრაფიას მივადგებოდეთ, სიტყვა ხ ა ტ თ ა ნ დაკავშირებულ რამდენიმე ცნებაზეც გვინდა შევჩერდეთ. თანამედროვე სიტყვათხმარებაში ჩვენ ვანსხვავებთ **ქ ე დ უ რ ს ა**, **ფ ე რ წ ე რ უ ლ**, **ე ნ კ ა უ ს ტ ი კ უ რ**. და **მ ო ზ ა ი კ უ რ** ხატებს. თუ **ქ ე დ უ რ ი** არაფერ დაზუსტებას უნდა მოითხოვდეს და ძველ ქართულადაც სხვას ვერას გამოიყვან („მოვაჭედინე“-თი გადმოსცემენ ხოლმე ლითონით დაქანდაკებას ძველი წარწერა-საბუთები) დანარჩენი სამი ცნება იქნებ კვლავ დაიხვეწოს. ძველ ტექსტებში აღმოჩნდა გამოთქმები:

- ა. **წ ე რ ი ლ ი ხ ა ტ ი** (ალის მონასტრის ნაქონი XIII ს. საბუთები, გამოქვეყნებული ქრ. შარაშიძის მიერ 1982 წ., გვ. 35), რაც **ფ ე რ წ ე რ უ ლ ს** უდრის და მასზე უმჯობესი გვგონია.
- ბ. **ც ვ ი ლ ო ა ნ ი ხ ა ტ ი** (წმ. გიორგი მთაწმიდელის წმიდათა იოანესა და ეფთვიმეს მთაწმიდელების „ცხოვრება“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, გვ. 53) — ეს უთუოდ **ე ნ კ ა უ ს ტ ი კ უ რ ი** ს ქართული შესატყვისია და კარგი იქნებოდა მის მაგიერ თუ არა, პარალელურად მაინც დაინერგოს. შესაბამისად ენკაუსტიკური მხატვრობის თანადროულად შეგვეძლება **ც ვ ი ლ ო ა ნ ი მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა** ც ვ ი ხ მ ა რ ო თ.

უფრო რთული გადასაწყვეტია კიდევ ერთი სიტყვის, **ს ა რ ო თ ი ს ზ უ ს ტ ი** მნიშვნელობისა და, აქედან, მოსახმარო-

ბის საკითხი. ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: „პატიოსანთა თვალებთა და აღრულებთა (ე. ი. ნახევრადძვირფას ქვებს) დასთლიან და მით შეაწყობენ ხატთა და ყვავილთა ძვირფასთა, იგი არს საროთი“. ამ განსაზღვრებით ჩვენ შეგვიძლია მოზაიკაც წარმოვიდგინოთ და ინკრუსტაციაც. მაგრამ ნიკ. და დავ. ჩუბინაშვილები თავის ლექსიკონებში მას „სოფიას კენჭადა“ და „მოზაიკად“ ხსნიან. ასე რომ, ჩვენ გვაქვს საფუძველი შემოვილოთ სიტყვა: საროთი — მოზაიკის აზრით.

ცნობილია, რომ ხატი ერთ ფიცარზე დახატულიც (ან ერთ ფიცრად შეკრული) შეიძლება იყოს და მრავალნაწილედ — ამ შემთხვევაში ძირითად, შუანა დაფას აქეთ-იქიდან ორი ან მეტი ფრთა ემატება. უკანასკნელი რიგის ხატთა ზოგადი ქართული დასახელება კარგა ხანია გარკვეულია, მათ: კარედი ხატები ჰქვია.

მაგრამ ჭერჯერობით ჭირს ხოლმე ორი ფრთის მქონე ე. წ. ტრიპტიქონების და მრავალფრთიანი პოლიპტიქონების ქართულად განრჩევა. ჩვენი შეხედულებით ამ სირთულეს გვაშორებს მკვლევარ მ. სურგულაძის მიერ ხმარებული ტერმინები:

სამკარედი და მრავალკარედი [იხ. მისი, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, 1979, გვ. 58].

მოგვეპოვება ხატთა მნიშვნელოვანება-დანაშნულების განმასხვავებელი ზოგიერთი სიტყვაც. ე. თაყაიშვილი ხშირად მიმართავს გამოთქმას:

თავი ხატი ამა თუ იმ ტაძრისა თუ სავანის მთავარი სიწმინდის, სახელობის მიმნიჭებელი ხატის აღსანიშნავად. ეს მეტად გამოსადეგი ტერმინი ჩანს და, ამიტომ, მისი გაცხოველებაც — დიდად სასურველი.

წმ. გიორგი მთაწმიდელს ზემოთ დამოწმებულ თხზულებაში ათონის მონასტრებისთვის შეწირული საუნჯის ჩამონათვალში მოხსენიებული აქვს „სხუაჲ ხატი, კანკელი ათორმეტთა მოციქულთაჲ“ [ძველი ქართული..., II, გვ. 53]. „ხატსა“ და „კანკელს“ შორის დასმული მძიმე ჩვენ საეჭვოდ მი-

ფეოსი, ქრისტე — ჰელიოსი) საგანგებო ზედწოდება ერთსა აქვს:

მ წ ყ ე მ ს ს კ ე თ ი ლ ს, რომელიც გამოხატავს უწვე-
რულ ყრმას მხრებზე ტვირთული კრავითურთ.

მაცხოვრის შუა საუკუნეებში ცნობილ გამოსახულება-
თაგან ყველაზე გავრცელებულია ე. წ. „ისტორიული“ ტიპი —
ზრდასრული, უღვაშიან-წვეროსანი, თმაგრძელი მამაკაცისა.
სხვადასხვა პირველსახეთა (ე. ი. ამა თუ იმ სათაყვანო ხატის)
თუ გამოსახულების ადგილის კვალობაზე მას შეიძლება შეე-
ფარდოს განსაზღვრებანი:

ყ ო ვ ლ ი ს ა მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი, რასაც ბერძნული პ ა ნ-
ტ ო კ რ ა ტ ო რ შეესაბამება, სიტყვა, რომელიც
ქართულშიც შეიძლება მოვიშველიოთ (რუს.:
Вседержитель).

ს ა ხ ი ე რ ი ა ნ კ ე თ ი ლ ი ს მ ო ქ მ ე დ ი — ორთავ ეს
განსაზღვრება, ჩვენს მწერლობაში ნაპოვნი ფორ-
მების გამოყენებით შექმნილი, შეგვიძლია შევეუ-
თანადოთ ბერძნ. „ეუერგეტეს“-ს (რუს. Доброда-
тель).

კ ა ც თ მ ო ყ უ ა რ ე — (ბერძ. ფილანთროპოს, რუს.
Человеколюбие).

მ ა ც ხ ო ვ ა რ ი ს უ ლ თ ა ე (ბერძ. ფსახოსოტერ, რუს.
Душеспаситель).

ერთი შინაარსის მქონე ორი გამოსახულება მაცხოვარს
ზეცათა მეუფედ წარმოგვიდგენს:

ქ რ ი ს ტ ე დ ი დ ე ბ ი თ ა — მაცხოვარი ოვალური შა-
რავანდით-მანდორლათი მოცული, ზეციურ ძალთა
თანაყოფნით. ეს განსაზღვრება დავაფუძნეთ მათე
16,27 („მოსლუად არს ძე კაცისა დიდებითა
მამისა თვისისათა ანგელოსთა მისთა თანა“),
შესაბამისად ლათ. Maiestas Domini-სა და რუს.
Христос во славе-სი.

მ ა ც ხ ო ვ ა რ ი მ ე უ ფ ე ძ ა ლ თ ა ე — ეს თითქოს
იგივე გამოსახულებაა, ოღონდ შარავანდი რომ-
ბულია ხოლმე. იგი მოგვიანო რუსულ ხატ-
წერაში გვხვდება და Спас в силах ეწოდება.

„ისტორიული“ ტიპის უმნიშვნელოვანესი იკონოგრაფიული სახეობაა:

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (ბერძ. ახეიროპოიეტოს, რუს. Нерукотворный Спас), რომელსაც ქართულად აგრეთვე პირი ღმრთისა, პირი ღვთისა ანდა პირი უფლისა ეწოდება — ამგვარ ხატებზე, რომელნიც ეკლესიის გარდამოცემით ავგაროზ ედესის მეფისადმი მაცხოვრისგან ბოძებულ ქსოვილზე პირს სასწაულებრივ ანაბეჭდსა ანდა მისაგან კრამიტზე გადასულ სახეებას მისდევენ (აქედან: ხატი მანდილისა ანუ

მანდილიონი და კეცსა ზედა ხატი ანუ კერამეიონი) გამოიხატება იესუ ქრისტეს მხოლოდენ პირისახე, არათუ მსრების, კისრის გარეშეც კი.

„ისტორიულ“ ტიპს უკავშირდება კიდევ რამდენიმე მოგვიანო წარმომავლობისა და კანონიკურობის თვალსაზრისით სადავო გამოსახულება:

ქრისტე — მღვდელთმთავარი დიდი — მაცხოვარი აქ სამღვდელთმთავრო შესამოსელით იხატება (ბერძ. მეგას არხიერეუს, რუს. Великий Архидрей).

მეუფე მეუფეთაჲ — მაცხოვარი სამეფო ტანისამოსით გამოსახული (ბერძ. დესპოტეს დესპოტონ, რუს. Царь Царей).

დიდისა ზრახვისა (ან: განზრახვისა) ანგელოზი — ესაია წინასწარმეტყველის წიგნის 6,9 მომდინარე ეს სიტყვიერი სახე ორსავე ფორმით გვხვდება (პირველი, მაგ., წმ. იოანე დამასკელის „შობისათვის ღმრთისმშობელისა“ ანონიმურ ქართულ თარგმანში, მეორე — ქართული ბიბლიის რედაქციებში). ხმარება უთუოდ ერთისაც შეიძლება და მეორისაც, თუშც ოდნავი ელფერი-თი სხვაობა მათ შორის თითქოს უნდა იყოს: „განზრახვა“ „ზრახვაზე“ უფრო ერთმნიშვნელოვ-

ნადაა „სჯა“, „ფიქრი“, რაც შეესატყვისება ბერძ.: „მეგალეს ბულეს ანგელოს“ და რუს. «Великого Совета Ангел»-ს.

ხ ა ტ ი მ ი ძ ი ნ ე ბ ი ს ა — ეს გამოსახულება, რომელსაც სლავურად «Царь Славы» ჰქვია (სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე: «Не рыдай Мене Мати») წარმოგვიდგენს თვალებდახუჭულ, მკმუნვარე მაცხოვარს, წელზევით, დადრეკილი თავითა და მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით. ქართული სახელწოდება მისი დასტურდება მაგ., წითელხევის XVI ს-ის მოხატულობაში.

ისტორიული ტიპის გარდასახვითაა შექმნილი ხატება: ძ უ ე ლ ი დ ღ ე თ ა მ — მაცხოვარი ჭალარა თმა-წვერით გადმოცემული, ვითარცა „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ შობილი და დანიელ წინასწარმეტყველის ხილვის მიხედვით (7,9—10) ქვეყნიერების მსაჯულად მომავალი მეორე პირი სამებისა (ბერძ. პოლაიოს ტონ ჰემერონ, რუს. Второй Деисный).

მაცხოვრის „ბეობას“ გამოსატავს აგრეთვე მისი გამოსახვა ვითარცა

ე ვ მ ა ნ უ ე ლ ი ს ა ნ უ ი მ ა ნ უ ი ლ ი ს — უწვერული ყრმის სახით (იხ., ესაია, 7,14). ყრმადვე წარმოგვიდგება იესუ ქრისტე სიმბოლურ გამოსახულებაში.

უ ძ ი ლ ო (ან: დ ა უ ძ ი ნ ე ბ ე ლ ი) თ ვ ა ლ ი — შესაქმე, 49, 8—12 და ფსალმუნი 120, 2—4 აღმოცენებული ეს კომპოზიცია სარეცელზე მიწოლილ ყრმას გვიჩვენებს. ქართული სახელწოდება მოგვაქვს ფსალმ. 101,8 („უძილ ვიქმენ და ვიყავ, ვითარცა სირი მხოლოდ სართულსა ზედა“) და წმ. გიორგი მთაწმიდელის თარგმნილ წმ. ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთამ“-დან. (ბერძ. ანაპესონ; რუს. Недреманное Оки).

და კიდევ ერთი: ევროპულ გვიანგოთურ ხელოვნებაში ჩამოყალიბდა მაცხოვრის გამოსახულების კიდევ ერთი ნაირსახეობა — ეკლის გვირგვინიანი, პირზე სისხლჩამომდიწარე

ასე მაგ., კონსტანტინეპოლის ბლაქერნის ტაძრის სახელგანთქმული ხატის მიხედვით მას

ბ ლ ა ქ ე რ ნ ი ო ტ ი ს ს ა ე რ ქ მ ე ვ ა (ქართულად — ბ ლ ა ქ ე რ ნ ი ს ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი; ხოლო კი-ევის წმ. სოფიოს ტაძარში Нерушимая стена დაარქვეს, რაც

დ ა უ რ ღ ვ ე ვ ე ლ ზ ღ უ დ ე დ ქ ა რ თ უ ლ დ ე ბ ა (ასეა მაგ., დ. გურამიშვილთან).

ყრმის გარეშე გვიხატავს ღმრთისმშობელს ის ტიპიც, რომლის ძველქართული სახელი (თუნდაც გაბრიელ ლაბეჭინელის ზემოხსენებულ „ანდერძში“ ნახსენები) არის:

ვ ე დ რ ე ბ ი ს ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი — დედა ღმრთისას სრული ან წელზევითი გამოსახულება ლოცვად მარჯვნივ გაწვდილი ხელებით. ბიზანტიაში, ხალკეში დასვენებული ამგვარი სათაყვანო ხატის მიხედვით მას ხ ა ლ კ ო პ რ ა ტ ე ი ა ს ე ძ ა ხ ღ ნ ე ნ .

ასე რომ, მიუღებელი არც ქართულად მისი

ხ ა ლ კ ე ს ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ლ ა დ წ ო დ ე ბ ა ა .

უფრო მრავალრიცხოვანია ღმრთისმშობლის ყრმა იესუსთან ერთად გამოსახულების ტიპები. მათი ზოგადი სახელი ქართულად.

ჩ ი ვ ი ლ ე დ ი ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ი ყ ო (იგი ხშირად გვხვდება ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილთან). ეს სხარტი და მეტყველი ზედწოდება უთუოდ აღსადგენია, თუმცა დღეს ალბათ, ჩ ვ ი ლ ე დ ი -ს ფორმით. ამ სახის ხატთა ტიპებიდან პირველ რიგში მოგვყავს ის, რომელსაც ე. თაყაიშვილი

ნ ი შ ი ა ნ ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ს უ წ ო დ ე ბ ს: ო რ ა ნ ტ ა წ ი ა ღ შ ი ფ ა რ ა კ ზ ე ა ნ მ ი ს გ ა რ ე შ ე გ ა მ ო ს ა ტ უ ლ ი ჩ ვ ი ლ ი ს წ ე ლ ზ ე ვ ი თ ი გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ი თ . ამ ხატს, რომელიც ქვეყნის მხსნელს შობილად კი არა, სასწაულებრივ ნახილვებად გვიჩვენებს ბერძნულად პ ლ ა ტ ი ტ ე რ ა ჰ ქ ვ ი ა , რუსულად კი Богоматерь Знамение.

ნიშიანი ღმრთისმშობლის გვარად უფრო მეტად სრული ტანით გადმოიციემა დედა ღმრთისა ე. წ.

ხიკოპეია-ს ტიპის ხატებზე, სადაც მას ყრმა მკერდ-
თან ორივე ხელით უპყრია (იგი უპირატესად მდგო-
მარეა, მ.გრამ შეიძლება აღსაყდრებულ იყ-
ე. ი. საყდარზე, ზურგიან სამეფო ტახტზე მჯდო-
მარეც იყოს). ეს სიტყვა „გამამარჯვებლად“ გად-
მოითარგმნება, მაგრამ ენაში საკუთარ სახელად
დამკვიდრდა და მისი გაქართულება აუცილებლად
არ მიგვაჩნია.

სხვა ყველაზე ხშირად ალბათ ღმრთისმშობლის ია გა-
მოსახულება გვხვდება, რომელსაც

ჰოდოგიტრია ჰქვია — მისი ყველაზე მკაფიო მახა-
სიათებელი ისაა, რომ ყრმა მაცხოვარი მდგომარე-
სა ან აღსაყდრებულ დედა ღმრთისას მკლავზე
(უპირატესად — მარცხენაზე) უსვენია; ეს ბერ-
ძნული სიტყვა „მეგზურს“ ნიშნავს და, ნიკოპეა-
სავით, არ ითარგმნება ხოლმე. არც ჩვენ ვცანით
საჭიროდ მისი გადმოქართულება. ჰოდოგიტრიას
ხატებში განირჩევა, სახელგანთქმული ხატების მი-
ღევნების კვალობაზე, რამდენიმე ქვეჯგუფი. ჩვენ-
თვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით საყუ-
რადლებოა

კარისა ღმრთისმშობელი (ბერძ. პორტაიტი-
სა, რუს. Иверская Богоматерь), რომელიც ათო-
ნის მთის ქართული სავანის, ივირონის სახელგან-
თქმულ სიწმინდეს, სასწაულებრივ მოპვებულ
ხატს მისდევს.

სხვათაგან მოვიხსენიებთ კიდევ
პერიბლექტოს-ს (ყოვლისმხედველი) და
ეპისკეპსის-ს (მჭვრეტელი).

ჩვილელი ღმრთისმშობლის განსხვავებულ ტიპთაგან ზედ-
წოდების თარგმნას არ ითხოვს აგრეთვე

კვიპროსის ღმრთისმშობელი (ბერძ. კიპრი-
ოტისა, რუს. Богоматерь Кипрская), რომლის
თავისებურება ისაა, რომ უფლის დედას ცალი
ხელი ყრმის მხარეზე უდევს, მეორე კი — ფეხზე.
ბოლოს მოტანილთაგან განსხვავებით, ქართული შესატ-

ყვისების მოძიება მოითხოვა რამდენიმე სხვა ტიპმა და...ეს... არცთუ იოლი გამოდგა. ამათგან ყველაზე ცნობილი და ძველი გახლავთ ის, რომელსაც რუსეთში «Умиление» ეწოდა — ღმრთისმშობელს ყრმა იესუ თითქოსდა ეხუტებაო, მისი ღაწვი კი ეხება ღმრთისმშობლისას. მას ხშირად უფარდებენ ბერძნულ

ელეუსას (სიტყვა-სიტყვით: მწყალობელი, მოწყალე), მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს არაა გამართლებული და ამოსავლად რუსული სახელწოდება უნდა ავიღოთ (მაგ., ფრანგულად ნაწარმოებ იქნა სახელი: Vierge de la Tendresse). თანამედროვე ქართულში არ მოიპოვება სიტყვა, რომელსაც შეეძლებოდა სადადა და გამომსახველად გადმოეცა აზრის საჭირო ელფერი. ჩვენი ფიქრით ეს მოგვიხერხდება, თუკი ძველქართული ზმნა „აღჩვილება“ მოვიშველიეთ. იგი არც ორწევროვანია, დღევანდელი „გულის აჩუყებისა“ და „გულის აჩვილების“ მსგავსად და არც მათებრ სენტიმენტალურია. ამიტომაც, ამ ხატს შეიძლება ქართულად სახელად დავუდოთ:

ღმრთისმშობელი აღჩვილები სა.

ასეთივე სირთულეები ახლავს კიდევ ორი ტიპის ქართულად სახელდებასაც. ესენია ბერძ. პელაგონიტის სად (ტოპონიმ პელაგონიდან), რუს. Взгырание Младенца (გამოსახულება „აღჩვილებას“ ჰგავს, ოღონდ ყრმის ხელ-ფეხუფრო განზიდულია, რაც მოძრაობის შთაბეჭდილებას ჰქმნის) და ბერძ. გალაკტოტროფუსა-დ, ხოლო რუს. Питани: Младенца-დ (ღმრთისმშობელი აქ ყრმას ძუძუს აწოვებს) წოდებული ხატები. ამგვარი სახელწოდების გადმოსაქართულებლად უშუალო საფუძველი, ვთქვათ, მიღებული ეპითეტი, ვერ ვიპოვეთ. დღევანდელ მეტყველებაში ხმარებული სიტყვებით უხერხული, ძველად რომ იტყოდნენ, „უშუერი“ ფორმულირებანი თუ გამოგვივიდოდა. ამ შემთხვევაშიც ძველმა ქართულმა გვიშველა. «Взыгание Младенца»-ს სახელწოდება თუ ეფუძნება არა, ეხმიანება მაინც, წმ. ლუკას სახა-

რების იმ ადგილს, სადაც ღმრთისმშობლის ელისაბედთან სტუმრობის შესახებ თბრობისას კანონიკურ ქართულ ოთხთავში ვკითხულობთ: „ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხუა მარია-მისი, ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა...“ [1, 41] —

„ჰკრთებოდა“-ს რუსულად «взыграл» შეესატყვისება. ზმნა „კრთომა“ ჩვენ არ გამოგვადგებოდა, რადგან ახლა მის გაგონებაზე ყველას, ვისაც გნებავთ „შეკრთომა“ წარმოუდგება. მაგრამ ძველ რედაქციებში [იხ. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, გვ. 18] ამ ადგილას სხვა სიტყვას ვხედავთ, სახელდობრ, ნათქვამია: „აღმღერნა ყრმამან მუცელსა მისსა“. იქნებ მოგვიგონ, რომ არც „მღერა“ აღნიშნავს ახლა „თამაშს“. მაგრამ „აღმღერებას“, ჩვენი ფიქრით, ის ღირსება აქვს, რომ იგი განსხვავდება „ამღერებისაგან“ და გაუჩვეველ ყურსაც უფრო ტევადად ჩაესმის, შემართვას, ამოძრავებას, თვით აღტკინებას გამოხატავს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი გვგონია შემოღებულ იქნას სახელწოდება:

ღმრთისმშობელი აღმღერება ყრმისა, ანდა „კლარჯული მრავალთავის“ (1991, გვ. 341, 348) შესაბამისი ადგილის მიხედვით, სადაც ზმნა „ხლდომა“ გვაქვს, „ღმრთისმშობელი ხლდომა ყრმისა“.

ძველქართულში ვიპოვეთ «Питание Младенца»-ს ჩვენთვის მისაღები შესატყვისიც. წმ. იოანე დამასკელის „შობისათვის ღმრთისმშობელისა“ ანონიმურ თარგმანში დედა ღმრთისაზე, სხვათა შორის, ნათქვამია: „მზრდელი სოფლის მზრდელისა“-ო, რაც უეჭველად „მკვებავს“ გულისხმობს. ამასთან, ცალკე აღებული „მზრდელი“ მეტის მეტად ემსგავსება „გამზრდელს“. ამის თავიდან ასაცილებლად განსაზღვრებას სიტყვა „სძე“-ც შევძინეთ და საბოლოოდ ასეთი რამ გამოგვივიდა:

ღმრთისმშობელი სძითა მზრდელი ძისა
(ან ყრმისა).

სამწუხაროდ, ვერც ამ გზით მოვიძიეთ რამ კიდევ ერთი ტიპის — ბერძ. გლიკოფილუსა, რუს. Ласкание Младенца-ს (ღმრთისმშობელი აქ ხელს უთათუნებს ჩვილს) შესაფერისი.

ამიტომაც ჭერჯერობით წინასწარულად ვთავაზობთ ზედწოდებას:

ღმრთისმშობელი მოალერსე.

დასასრულ, ჩვილადი ღმრთისმშობლის რამდენიმე იშვიათი, მოგვიანო და ერთი ნიშანდობლივ რუსული იკონოგრაფიული ტიპის შესახებ:

ბერძ. ძოოდოხოს პეგე, რუს. Живоносный Источник — ღმრთისმშობელი შადრევანთან ან სულაც თასისებრ შადრევანში ჩამდგარი:

ღმრთისმშობელი ცხოველსმყოფელი წყარო.

რუს. Богоматерь Неопалимая купина — დედა ღმრთისა ძველი აღთქმის სასწაულთა თანხლებით. სახელწოდება მოსეს პირველ ხილვას ემყარება და ქართულად გადმოითარგმნება:

ღმრთისმშობელი მაყუალი ცეცხლმგზნებარე (ან შეუწუელი).

რუს. Богоматерь Гора нерукосечная — ღმრთისმშობელი იაკობის კიბითა და ლოდით ან კლდით. სახელწოდება მოდის დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან [2, 31]: „ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვნიერ ველთასა“. შესაბამისად, ქართულად იქნება:

ღმრთისმშობელი მთაჲ გამოუკუეთელი.

და ერთიც: რუსეთში წმ. ანდრია სალოსის ცნობილი ხილვის კვალობაზე, რომელსაც ეჩვენა ღმრთისმშობელი, მანდილს რომ აფარებდა ალყაშემორტყმულ კონსტანტინეპოლს, შეიქმნა ხატი: «Покров Божией Матери». ეს გამოსახულებანი საკმარისად მრავლად არის, მათი ხსენება ქართველ ხელოვნებათმცოდნეებსაც უწევთ და ვინ „საბურველს“ იტყვის, ვინ „გადასაფარებელს“, ვინაც სხვას რასმე. ჩვენი ფიქრით, უმჯობესია მას დავარქვათ:

ხატი ღმრთისმშობლის მანდილისა.